პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

ლელო

№ 58 (6619)

25 მარტი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

1980 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ნონა გაფრინდაშვილი — ნახევარფინალში

ესერის ნ. გაფრინდაშვილი — ნ. გურიელის მატჩში გამმარჯვებელი პარტია. იგი მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მოიგო და მატჩიც გამარჯვება ანგარიშით 6:3.

აი, ეს პარტია:

ნ. გაფრინდაშვილი — ნ. გურიელი

ესპანური პარტია

ეროვლის გამბიტი

1. d4 d6 2. c4 g6 3. ∅c3 ∅g7 4. e4 d6 5. ∅e2 0—0 6. ∅g3 e5 7. d5 b5 8. cb a6 9. a4 h6 10. ∅d2 ∅bd7 11. ∅f3 ab 12. ab ∅b7 13. 0—0 ∅c7 14. ∅c2 ∅fe8 15. ∅a3 ∅b6 16. ∅fa1 e6 17. ∅:a8 ∅:a8 18. de ∅:e6 19. ∅d3 ∅e8 20. ∅e1 c4 21. ∅f1 ∅bd7 22. ∅a4 ∅b6 23. ∅c2 g5 24. ∅e3 ∅g4 25. ∅:b6 ∅:b6 26. ∅:c4 ∅d4 27. ∅:d4 ∅:d4 28. ∅e2 ∅f6 29. ∅d3 d5 30. e5 ∅g4 31. ∅d1 ∅:h4 32. ∅a2 ∅b3 33. ∅:g4 ∅:a2 34. ∅f5 ∅e6 35. ∅c1 ∅g6 36. ∅c8+ ∅:g8 37. ∅:g6. შავები დანებდნენ.

ეროვლის გამბატი, ერთ-ერთი თანამედროვე მძიმე სიდებუტო სისტემა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს დიდი ხანია თავის რეპერტუარში აქვს და მისი გამოყენებით ბევრ სასახელო გამარჯვებაც მოუპოვებია. ამჯერად ეს დებიუტი თავად გურიელმა აირჩია, რომ მის მრისხანე შტირულ საკუთარი გამბიტის წინააღმდეგ ეთამაშა. ფსიქოლოგიური ეს სავსებით გამართლებული გახლდათ. მართლაც, მსაფიო ბრძოლა გაიხადა.

გაფრინდაშვილმა შეინარჩუნა შემოწირული პაიჯი. გურიელმა, ინიციატივის რომ ვერ დაეუფლა, იერიში ცენტრალურ უჯრებზე მიიტანა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფხიზლად იერიებდა მუქარას. ახალგაზრდა პრეტენდენტმა მეორე პაიჯიც არ დაიშურა, ოღონდ ლაშქარი დაძრა თეორი მეფის მიმართულებით. ამ დამუხტულ სიტუაციაში გაფრინდაშვილი დაყვირებით, წინადახედულად მოქმედებდა: მან კარგად გამოიყენა პოზიციის გამარტივების შესაძლებლობა, მერე კი თავად წამოიწყო იერიში და ბარისხი მოიგო...

ამრიგად, ნ. გაფრინდაშვილმა წარმატებით დაძლია ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების პირველი ეტაპი. ნახევარფინალურ მატჩში მას მოუწევს შეხვედრა ნ. იოსელიანი — ქ. ცერეცი-ტატრონიის (უნგრეთი) ორთაბრძოლაში გამარჯვებულ მოჯადოკესთან. ეს უკანასკნელი მატჩი სტარტს 1 ქულის აღებას უფასოვაიის საკურორტო ქალაქ დოლნიგ მილანოვიჩში.

დღეს, 25 მარტს მატჩი საზეიმოდ დაიხურება (დაწყებული 19 ს.).

თ. გიორგაძე.



ქალწყალა ახმილოვსკაიას უპირატესობა და 56-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩი მოიგო — 5,5:3,5 და ნახევარფინალის სავარძური მოიპოვა ნ. აღექსანდრიამ.

ეიღრე გამოვლინდება აღექსანდრიას მატჩის ნახევარფინალურ მატჩში, უნდა ჩატარდეს დამატებითი შეხვედრა მ. ლიტინსკაისა (სსრ კავშირი) და გ. ფიშბეინს (აგრ) შორის. აქ გამარჯვებული მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდება ტ. ლემაჩკოს (ბულგარეთი) და მხოლოდ ამ ორთაბრძოლაში გამოვლენილი უძლიერესი მოჭადრაკე იქნება ახმილოცკი დიდოსტატის მეტოქე.

ნანა ალექსანდრიას წარმატება

კისლოვოდსკი, 23 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მოეწყო ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩის მეცხრე პარტია. იგი დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ალექსანდრიას უამინე ყოფნიდა მატჩის მოსაგებად.

მეტოქეებმა ორიგინალურად გათამაშეს ლაზიერის პაიჯთა დებიუტი. თანდათან გამოკვეთდა მეტოქეთა ზრახვები. ახმილოვსკაია დაინებდა მიღლეკოდა ინიციატივისენ, ლამობდა ბელი ეკიდო ბრძოლად. სადაეებში. მან, როგორც კი ფიგურების განვითარება დასრულა, მეფის ფრთის პაიჯები დაძრა. ალექსანდრიას წინააღმდეგ სერიოზული პრობლემები წამოიჭრა.

ახმილოვსკაიამ დააწყვეია ეტლები და ღერიზე შეუდგა. მაგრამ ალექსანდრია დინჯად უხებდა ყოველ მოქმედს. ბაცდებით ეერიში შეანელა და ბოლოს ისწელა მეტოქე ენდშპილში განგრძო თამაში. მაგრამ სიმძიმეს არ დამცხარა. ახმილოვსკაიამ შეინარჩუნა ორი კუს უპირატესობა, რაც მის პოზიციას უფრო პერსპექტიულს ხდის. სწორედ ამ ვითარებაში ამოიწურა თამაშის დრო.

თამაშის განაჯერებისას ალექსანდრიამ შეუპოვარი დაცვით გაბედ-ლაღტენბერგში (აგრ) რ. პიუბნერ—ა. ადორიანის მატჩის IV პარტია ყაიმით დასრულდა. ქვეყ წინაა პიუბნერი — 2,5:1,5.

ესერის ალმა-ათაში გაიხსნა ლ. პოლუგაევსკი — მ. ტალის, მატჩი. პირველ პარტიაში თეორეტიკი პოლუგაევსკი თითმაშებს.

ყაიმი, ყაიმი

ფსტრიასა და გფრ-ში გრძელდება ევროპის შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები.

ფილეტში (ავსტრია) ტ. პეტროსიან—ვ. კორჩნოის მატჩში VII და VIII პარტიები ყაიმით დამთავრდა. შეხვედრის ანგარიშია 4,5:3,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

გვასახელეს

რსკის, ჯამპეულის, პაველდარის, ტაჰკენტის, ბაქოს და თბილისის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის ნაკრები გუნდები.

ჩინებულად იასპარეზეს ქართველმა ძიუდოისტებმა, რომლებმაც ოქროს ხუთი მედალი დაისაკუთრეს. გამარჯვებულთა ეკატერინბურგი აეიღეს: **გ. ბაგაური** (53 კგ), **ე. ჯანგირაშვილი** (57), **ე. ჭყოდუა** (75). სამივე მოჭიდავეს წვრთნის სპარიანელი დამსაჯურებელი **ვ. გაზდელაძე** (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **მ. დადანოძე**), ხოლო 83 კილოგრამზე წონაში — **რ. გოჭიაშვილს** (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **ა. ელიზბაშვილი**).

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა თბილისის სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის ძიუდოისტთა ნაკრებმა.

შ. ქორიძე.

● ხელბურთი

ფინალურ ექვსეულში

მოსკოვში, ცსკა-ს საფეხბურთო-მძლეოსნურ მანეჟში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის შეხვედრები იმ კოლექტივებისთვის, რომლებიც ექსეულში ებრძვიან. პირველად მოედანზე გამოვიდნენ თბილისის „ბურევესტნიკი“ და კიუნასის „გრანტასი“. ტაიმი „გრანტასმა“ მოიგო — 13:11, მაგრამ მატჩი საბოლოოდ დამთავრა — 26:26. ამ შეხვედრაში გამსაჯურებით გამოირჩინეს თავი ნარიმანიძემ, ტაბიძემ, ძმებმა ბერიაშვილებმა და ანდილოგიამ.

დანარჩენ ორი ასპარეზობა ასე დასრულდა: ასკ (მინსკი) — ფის (ლენინგრადი) 23:25, ცსკა — მაი 26:15.

მეორე ტურში თბილისის „ბურევესტნიკმა“ ისევ მეორე ტაიმში გამოირინა თავი და ცისკარიდარის გუნდთან შესვენებისთვის (11:13) მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა — 26:20. შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მაი-მ კვლავ წააგო, ამჯერად მინსელ არმიელებთან — 25:28. ცსკა-მ სძლია „გრანტასს“ — 23:19 და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია:

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მარტისთვის

	თ. მ. ფ. წ. ბ.	ქ.
ცსკა	24 21 1 2 667—519 43	
მაი	24 16 1 7 683—598 33	
„ბურ.“ (თბ.)	24 14 3 7 675—645 31	
ასკ (მინს.)	24 14 1 9 560—564 29	
ფის.	24 13 2 9 636—603 28	
„გრან“.	24 11 5 8 633—601 27	

● გიპატლონი

გოლო ეტაპის წინ

შვიცარიის სოფელ პადენსტის მიდამოებში გაიმართა ბიატლონში მსოფლიოს თასის გათამაშების ბოლო ეტაპის წინა შეჯახებება 10 კილომეტრზე რბოლაში. ამპრეზა პ. ულრიხმა (გფრ) — 30.28. მეორე იყო მისი თანამემამულე, თასის მფლობელი ჯ. ზიბერტი — 30.52. მესამე — ვ. ალკიხი (სსრკ) — 30.55.

ოთხი ეტაპის შემდეგ თასის გათამაშებას ზიბერტი ლიდერობს. მას ქულათ ჩამორჩება ულრიხი. მესამე ადგილზე მიდის ვ. გეროგიევი (სსრკ), რომელსაც 129 ქულა აქვს.

● ორჭიდი

უპირატესობა შეინარჩუნა

სამხრეთ სახალინზე დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის: ორჭიდში. ბტომპაში შეჯიბრების შემდეგ დაწინაურდა გორკელი ა. მაიოროვი. მან სამ უპარატესობა 15 კილომეტრზე რბენაშიც შეინარჩუნა და საბოლოოდ 433,35 ქულით მოიპოვა ოქროს მედალი. მარშანდელი ჩემპიონი. ლენინგრადელი ა. ბაიანოვი „ვერცხლს“ დაჯერდა — 426,9, III ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ს. ომელჩენკო — 419,9. სამაგიეროდ, ლენინგრადელებმა მოიგეს გუნდური პირველობა.

● თხილამურები

50 კილომეტრზე

კრასნოიარსკში დამთავრდა მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატი. პროგრამით ბოლო სახეობა იყო ვაჟების შეჯიბრება 50 კილომეტრზე რბენაში. სახიზო ადგილები ასე განაწილდა: ვ. კუზნეცოვი („დინამო“, ლენინგრადი) — 2:19.27, ა. ივანოვი („ტრუდი“, კუიბიშევის ოლქი) — 2:21.02, ს. სველეევი (შეიარაღებული ძალები) — 2:21.20.

ჩემპიონატის საერთო გუნდურ ჩათვლაში — „დინამო“ — 1314 ქულა, შეიარაღებული ძალები — 936, „ტრუდი“ — 916. ქალაქებში შორის ლენინგრადი — 681,5, მოსკოვი — 565, კომის ასსრ — 554.

● ცურვა

ვაჟებმა უკეთ...

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომპლექსის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა „ვანთაიას“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა 1965-66 წლებში დაბადებულთა შორის.

შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ საქართველოს ნაკრების წევრები.

ქალაქებიდან უკეთ იასპარეზეს ვაჟები. ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვეთაგან შეიარებით დამპატივსეულები შედეგები ნაჩვენებია: 1965 წელს დაბადებულ გოგონათა შორის თბილისელმა ლ. ციბულსკაიამ (100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში — 1.11,1 და 2.32,8) და მისმა თანაგუნდელმა ე. სიკალოლიამ (200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 2.01,3). სამი I ადგილ წილად ხვდა თბილისელ ლ. იაკუდელს (100 და 200 მეტრზე ბატერფლით და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში შესაბამისად — 1.01,13, 2.16,1 და 5.08,8).

1966 წელს დაბადებულ მოცურავეთა შორის უპირატესს ყოველსა უნდა გამოვყოთ თბილისელ ვ. კეჭხიდის შედეგები, იგი სუფევთნო იყო 100 და 200 მეტრზე ბატერფლით (ურავაში (1.06,3 და 2.21,8).

გუნდების შორის ადგილები ასე განაწილდა: თბილისი (3376 ქულა), აჭარა (1838), რუსთავი (1623) და ქუთაისი (1010).

დაკომპლექტდა „ვანთაიას“ ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე გამართულ საკავშირო პირველობაში.

გ. ამირეჯ.



● ძიუდო

გვასახელეს

უპარპაზნის ტატამზე 4 დღეს გრძელდებოდა საკავშირო ტრადიციული ტურნირი ძიუდოში ჭაბუკთა შორის, რომელშიც 1963-65 წლებში დაბადებული 150 ფაელავანი მონაწილეობდა. გამარჯვებისათვის პრეტენზიას აცხადებდნენ ერასნოარისკის, ნოვოსიბი-

როგორ გვემსახურებიან?

„ოლიმპია" ოლიმპიელებს ელის

საორგანიზაციო კვეთას რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სარბიელზე კარგი შედეგების მისაღწევად, ეს ყველთათვისაა ეჭვშეურყეველი. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის კომპლექსში, რომელიც ამჟამად ძირითადად ხაჭარიველს მოცურავეთა ნაკრებ გუნდს ემსახურება? ამ თემაზე ვთხოვეთ კომპლექსის კიდე-ბარ „ოლიმპიას" ეწვიოდით.

როგორც ცნობილია, ეს ბაზა მსოფლიოს სტანდარტების დონეზეა დაპროექტებული და აგებული. „კომპლექსი რომ სპორტსმენთა მოზრდას ისახურებს, ამაში დიდ როლს ასრულებს კიდე-ბარი „ოლიმპია". მყუდრო დარბაზში სისუფთავე და წესრიგი სუფევს; აქ დგას ტელევიზორი, სპორტსმენთა კუბის დროს უკრავს მაგნიტოფონი... ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არის გადაუჭრელი პრობლემაც: აქამდე ვერ მოგვარებულა „ცივი დღის" საკითხი — ცივ პერიოდში კიდე-ბარი არ მუშაობს და, ამდენად, ამ დღეს სპორტმებენი, რომ ტრენიგებენ, ბედის ანაბარად არიან დატოვებულნი.

— სხვა მხრივ სასაყვედურო არაფერი გვაქვს, — გვეუბნება საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი კ. **რუშეტნაძე.** — თუმცა, აქამდე „ოლიმპიას" ასორტიმენტი ნაკლებ გვაძლიფოფილებდა. ვუკმაყოფილებდით ხანა ამ მეცნიმარეობა საჭიროებისდა მიხედვით. სპორტსმენებისთვის არის: მაწონი, არაჟანი, კომპოტი, ბატო, ხაჭაპური, ნაირგვარი ნაბეჭდარი, ძეხვი, ახალი ხორცი და სხვა. მეორეს ხანს კი

წარმატება რომ განვამტკიცოთ...

საქართველოს საუკეთესო გუნდები ყოველწლიურად მონაწილეობენ საკავშირო საფეხბურთო შეჯიბრებებში II ლიგის ზონაში და, როგორც წესი, წარმატებას აღწევენ ხოლმე.

განსაკუთრებით წასახარებლად იყო 1979 წლის გათამაშების შედეგები, სადაც საქართველოს წარმომადგენლობა საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია. IV ზონაში, სადაც საქართველოს გუნდები გამოდიოდნენ, ულტიმატუმი იყო ლანჩხუთის „გურია“. კოლექტივმა მთელი სეზონი ჩაატარა სტაბილურად, მობილიზებით, გამოავლინა მაღალი სანებისყოფო თვისებები და I ადგილი დაიკავა, რამაც გუნდს უფლება მისცა 1980 წლის სეზონში მონაწილეობა მიეღოს ჩემპიონატის I ლიგის კლექტივების გათამაშებაში. ორი გუნდი საკვალიფიკაციო პირველობის I ლიგაში ქართული ფეხბურთის შესაბრწყინვალ წარმოადგენდა.

ლანჩხუთელთა გვერდ პირველ ლიგაში დაგასხასელად ეერთვნულად იბრძოდა სპორტედის „ლოკომოტივი“, რომელიც მხოლოდ გათამაშების ფინალურ ეტაპზე ერთი ქულით ჩამორჩა თავის მოსაგერ კონკურენტს.

ჩინებულად იასპარეზეს საქართველოს სხვა გუნდებმაც — ზუგდიდის „დინამო“, სოხუმის „დინამო“, გორის „დილა“ და ფოთის „კოლხეთი“ მოხვდნენ ზონის პირველ ათეულში.

ახეთ წარმატებას განმტკიცება, შემდგომი განვითარება უსახსპირობა, ამიტომ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ გადაწყვიტა შეემოწმებინა რესპუბლიკის II ლიგის გუნდების მუშაობა 1980 წლის სეზონის მოსამზადებელ პერიოდში.

„ლოკომოტივი“ (სამტრედია)

კოლექტივს ჰყავს ახალი უფროსი მწვრთნელი. ამ პოსტზე წლეულს ვხედავთ გამოცდილ ოსპორტედს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. ბურცილაველს. მან გუნდის რიგები შეაფსო ახალი მოთამაშეებით, რომელთაგან აღსანიშნავი მეკარე ნ. მესხიას, მცველებს დ. პაიკიძეს, მ. მიქაძეს, შ. ხურცილავას, თავდამსხმელ ვ. ტუსელიანს.

ამ ცვლილებათა გამო გუნდი ახალი სეზონისთვის მზადების შეღარებით გვიან შეუდგა. სმტრედიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, სპორტსზოგადოება „ლოკომოტივმა“ გუნდს შეუქმნეს ვარჯიშისთვის საჭირო ყველა პირობა — ფეხბურთის განკარგულებაშია საუკეთესო სპორტდარბაზი, საწვრთნელი ბაზა დიდ ერხობაში, ცალკეო ავტობუსი, სათადარიგო მინდორი, შენდება „სთენის“ ტიპის ბაზაო.

სამტრედიელი ფეხბურთელები 10 თებერვლიდან თვის ბოლომდე იმყოფებოდნენ ეგზოს საწვრთნელი ბაზაზე, სადაც ინტენსიურად ვარჯიშობდნენ. შემდეგ გუნდი დაბრუნდა შინ, საწვრთნელ მატჩში მიიღო მოსკოვის „დინამო“ და სხვადასხვა ვარიანტით გაიმართკვა მასთან შეხვედრაში.

სამტრედიის „ლოკომოტივს“ თანაბრად ჰყავს დაკომპლექტებული სხვადასხვა რგოლი. გამოყოფთ მეკარეებს ნ. მესხიას და ა. ორიდანძეს, მცველებს დ. პაიკიძეს, ნ. დემიტრაშვილს, მ. ხურცილაველს, ნახევარმცველებს გ. ბაბუნიძეს და მ. ჩახუნაშვილს, თავდამსხმელებს ო. ძაგნიძეს, დ. დარჩანიას, ტ. დვალიშვილს.

„დინამო“ (ზუგდიდი)

ზუგდიდელი კოლექტივმა დიდი ცვლილებები განიცადა, გუნდიდან წავიდნენ ნ. მესხია, შ. სოხაძეები, მ. ხურცილავა, ზ. თოფურია და სხვანი, რომელთა ნაცვლად უფროსი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ჩიჩუამ ძირითადი შემადგენლობისთვის შეარჩია მოსამზადებელი გუნდის აღსაზრდელები. საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ გაითვალისწინა ზუგდიდელთა მძიმე მდგომარეობა და გუნდის დასაკომპლექტებლად შეარჩია პრესპექტიული ფეხბურთელები. ესენია: თ. როგავა და ა. კაჭარავა ხობიდან, ჯ. გეგეჭკორი და გ. ბარამიძე — ჯალიდან.

ზუგდიდის დინამოელები, როგორც წესი, გარკვეული წარმატებით თამაშობენ ხოლმე საკავშირო პირველობაზე და წარმატებებთან ერთად ჩვენთანებიც აქვთ. რით შეიძლება ავხსნათ ასეთი არასტაბილურობა?

ზუგდიდის „დინამოს“ არ გააჩნია საკუთარი სტადიონი, არც საწვრთნელი ბაზა ქალაქგარეთ, ავტობუსი, საცხოვრებელი შენობა და რაიმე აღდგენითი საშუალებები. მეტი ყურადღებაა საჭირო კოლექტივში პოლიტიდმუშაობის მუშაობის გაუმჯობესებისთვის. შემთხვევით არ არის, რომ ზინამოელებმა შარშან 3 გამგზავნა და 10 გაფრთხილება დაიმსახურეს.

ახლა გუნდის ძირითადი ბირთვის — გ. ნაჭყებიას, ნ. ანტონოვეის, ზ. გურნას, შ. მოსავას, თუთბერიძის გარშემო შემოკრებილა პერსპექტიული ახალგაზრდობა — გ. ნონუა, მ. თორია, ვ. ანტონოვეი, ა. გეგიაძე და სხვები. ამ სიახლეებ პირობაში ზუგდიდელთა კოლექტივს მეტი ყურადღება და დახმარება ესაჭიროება.

„დინამო“ (სოხუმი)

1979 წლის დასასრულს საქართველოს უმაღლესი საწვრთნელოების თასის გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, რომელიც თითქმის მთლიანად სოხუმის დინამოელებით იყო დაკომპლექტებული. ამ მიზეზით სოხუმის „დინამო“ მხოლოდ 18 იანვრის შეჯიბრებაში ასპარეზობდა.

გუნდიდან წავიდნენ ნ. ბოკეია, ა. კოტრეული, შ. თომაშვილი და ვ. ტესელიანი. მათი ადგილები შეავსეს პერსპექტიულმა ფეხბურთელებმა ლადარიამ, ქავთარაძემ, შელიამ, შამათავამ, დაბრუნდა დემობილიზებული ი. ცანავა. კოლექტივი გუნდის უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. ძიაშვილის და გუნდის უფროსის, სპორტის ოსტატის ი. გრამატიკოპულოს ხელმძღვანელობით დასახული გეგმით გადის წვრთნას უშენის ოლიმპიური ბაზაზე. ტრადიცია ორ და სამწერაღი მეცადინეობა, საკონტროლო თამაშები, სოხუმელებმა დაიმსახურა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ჯგუფმა (დ. ტყებუჩაია, ვ. ტურმანიძე, რ. ქარდა, მ. შამათავა, დ. ქადარია, ნ. მთავარაძე, თ. ჯუპანია, დ. მეშვილი, ნ. ცინცაძე და სხვანი).

სოხუმის „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესოდ ითვლება ზონაში. მას თითქმის ყველა პირობა აქვს შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისთვის, მაგრამ კარგი იქნება, თუ ქალაქის მესვეურები დროულად იზრუნებენ დინამოელთათვის ბაზის ასაგებად.

„დილა“ (გორი)

გორელთა შემადგენლობაში წლეულს ვერ ვიხილეთ ა. ანდღულაძეს, შ. ხუცურაულს, გ. ომიაძეს, ს. სტრაისს, გ. ჭუმბაძეს და ი. აღუაშელს, რომლებიც მიწვევით იყვნენ ჩაშოსული გუნდში და ვერ „დამკვიდრდნენ“ ამ. ამიტომ ყოველმხრივ მისაწყალებელია ის, რომ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ე. ხუციძემ სწორი გეზი აიღო და „დილა“ დაკომპლექტა ადგილობრივი „ჭაობლიან“ და მოსამზადებელი ჯგუფების მოთამაშეებით. თბილისის „დინამოსთან“ ჩატარებულმა საკონტროლო თამაშმა ცხადყო, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები ა. შეჭელაშვილი, ვ. კაპუტიკინი, გ. ბესტავაე, მ. ჯულუმბეგაშვილი, ს. კარელიძე, ე. შავდათაშვილი და ე. ზოტაშვილი ტოლს არაეის დაუთმებენ.

გელაძეიდან უნდა ვთქვათ, რომ გორის „დილა“ არაა გუნდი დაბეჭდილი ხელმძღვანელების ყურადღების. მას არ ჭაანნია საწვრთნელი ბაზა, აღდგენითი ცენტრი, საცხოვრებელი შენობა და დაიმსახურა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ჯგუფმა (დ. ტყებუჩაია, ვ. ტურმანიძე, რ. ქარდა, მ. შამათავა, დ. ქადარია, ნ. მთავარაძე, თ. ჯუპანია, დ. მეშვილი, ნ. ცინცაძე და ნ. ნანბა, ა. ლადარია და სხვანი).

სოხუმის „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესოდ ითვლება ზონაში. მას თითქმის ყველა პირობა აქვს შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისთვის, მაგრამ კარგი იქნება, თუ ქალაქის მესვეურები დროულად იზრუნებენ დინამოელთათვის ბაზის ასაგებად.

„დილა“ (გორი)

გორელთა შემადგენლობაში წლეულს ვერ ვიხილეთ ა. ანდღულაძეს, შ. ხუცურაულს, გ. ომიაძეს, ს. სტრაისს, გ. ჭუმბაძეს და ი. აღუაშელს, რომლებიც მიწვევით იყვნენ ჩაშოსული გუნდში და ვერ „დამკვიდრდნენ“ ამ. ამიტომ ყოველმხრივ მისაწყალებელია ის, რომ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ე. ხუციძემ სწორი გეზი აიღო და „დილა“ დაკომპლექტა ადგილობრივი „ჭაობლიან“ და მოსამზადებელი ჯგუფების მოთამაშეებით. თბილისის „დინამოსთან“ ჩატარებულმა საკონტროლო თამაშმა ცხადყო, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები ა. შეჭელაშვილი, ვ. კაპუტიკინი, გ. ბესტავაე, მ. ჯულუმბეგაშვილი, ს. კარელიძე, ე. შავდათაშვილი და ე. ზოტაშვილი ტოლს არაეის დაუთმებენ.

გელაძეიდან უნდა ვთქვათ, რომ გორის „დილა“ არაა გუნდი დაბეჭდილი ხელმძღვანელების ყურადღების. მას არ ჭაანნია საწვრთნელი ბაზა, აღდგენითი ცენტრი, საცხოვრებელი შენობა და ა.შ.

„კოლხეთი“ (ფოთი)

მწვრთნელთა ბზრამა ცვლამ არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს გუნდის მაჩვენებლებზე. ის იყო შარშან, ასე წლეულაც, რაც ფოთში პირობები ადგილობრივი მწვრთნელი შეექმნა ფეხბურთელთა მეტად ტექნიკით, ბრაძოლისუნარიანობით. შ. შავკულიძის სახელობის თასის მარშანდელ გათამაშებაში მოწონებული იყო ფეხბურთელები ქალაქის სტადიონის ტრიბუნების ქვეშ მოწყობილ ვიწრო ოთახებში. ამის გარდა, საჭიროა სასწრაფოდ გადაწყდეს გუნდის უფროსისა და ადმინისტრატორის შერჩევის საკითხი.

„მეტალურგი“ (რუსთავი)

მეტალურგმა ფეხბურთელებმა შარშან პირველი ადგილი დაიკავეს რესპუბლიკის ჩემპიონატში და, როგორც ცნობილია, „ოფლით“ მოიპოვეს II ლიგაში თამაშის უფლება, თუმცა ამ ლიგაში მოპაწილეობა „მეტალურგისთვის“ ახალი ხილი არ არის. წარსულ წლებში რუსთაველებს რამდენჯერმე მოუხდათ ლიგის დატოვება და უკან დაბრუნება რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულით. ეფიქრობთ, რუსთაველები ამჯერად უფრო სერიოზულად მოეკიდებიან საქმეს და არ გაიმეორებენ შეცდომებს.

რუსთაველი „მეტალურგის“ უფროსი მწვრთნელია მისი ყოფილი მოთამაშე გ. გვენცაძე. გუნდმა შეინარჩუნა შარშანდელი შემადგენლობა, სადაც სტაბილური თამაში გამოირჩეოდნენ ვ. შელაძე, ლ. გოგუაძე, გ. გოგიჩაიშვილი, ვ. ჯურტაძე, ფ. ჯაშე, ი. ალადაშვილი და ა. ჩრეკაე. წლეულ გუნდის შემადგენლობაში ვიხილავთ ს. ქილეზიძეს, ვ. ბერიკაშვილს, გ. მიგინიშვილს, ი. აგაროვნაძეს და ე. ავაქიანს. საწვრთნელ შეკრებას გუნდი ატარებს რუსთავის მეტალურგიულ ქარხნის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში. მას საშანაო თამაშობას უწევენ ზემდგომი ორგანოები, გუნდს გამოუყვეს ავტობუსი, შეეცვალა მორიგეები და სათადარიგო მოედნები.

* * *

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ რესპუბლიკის II ლიგის გუნდების წინასწარულობრივი მზადების ასპექტები. გათამაშების დაწყებამდე არც ისე დიდი დრო დარჩენილა, გუნდებმა იგი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ როგორც ფეხბურთელ ოსტატობის შემდგომი ამაღლის, ისე ხელმძღვანელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

გ. ანთაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ოსტატთა გუნდების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.



სსრ კავშირის ჩემპიონატი, II ლიგა (IX ზონა)

კალენდარი

პირველი წრე

I ტური

20 აპრილი, ჯვირა

„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (სოხუმი)
„ცილა“ (გორი) — „დინამო“ (ზუგდიდი)
„პროგრესი“ (ცხინვალი) — „დინამო“ (ბათუმი)
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „კოლხეთი“ (ფოთი)
„არაზი“ (ნახიჩევანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი)
„ხაზარი“ — „ლოკომოტივი“ (ახალციხე)
„ყარაბახი“ (სტეფანავანი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო)
„არაბირი“ (ერევანი) — „კოლხოზჩი“ (ამბასადი)

II ტური

24 აპრილი, ხუთშაბათი

„ლოკომოტივი“ — დინამო“ ზ.
„ცილა“ — „დინამო“ ს.
„პროგრესი“ — „კოლხეთი“
„მეტალურგი“ — „დინამო“ ბ.
„არაზი“ — „კოტაიკი“
„ხაზარი“ — „შირაკი“
„ყარაბახი“ — „კოლხოზჩი“
„არაბირი“ — „ავტომობილისტი“

III ტური

2 მაისი, პარასკევი

„კოლხეთი“ — „ცილა“
„დინამო“ ბ. — „ლოკომოტივი“
„დინამო“ ს. — „პროგრესი“
„დინამო“ ზ. — „მეტალურგი“
„კოლხოზჩი“ — „არაზი“
„ავტომობილისტი“ — „ხაზარი“
„კოტაიკი“ — „არაბირი“
„შირაკი“ — „ყარაბახი“

IV ტური

6 მაისი, სამშაბათი

„კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“
„დინამო“ ბ. — „ცილა“
„დინამო“ ზ. — „პროგრესი“
„დინამო“ ს. — „მეტალურგი“
„კოლხოზჩი“ — „ხაზარი“
„ავტომობილისტი“ — „არაზი“
„კოტაიკი“ — „ყარაბახი“
„შირაკი“ — „არაბირი“

V ტური

10 მაისი, შაბათი

„ლოკომოტივი“ — „პროგრესი“
„ცილა“ — „მეტალურგი“
„არაბირი“ — „ყარაბახი“
„ხაზარი“ — „არაზი“
„კოლხეთი“ — „დინამო“ ბ.
„ავტომობილისტი“ — „კოლხოზჩი“

VI ტური

11 მაისი, კვირა

„კოლხოზჩი“ — „შირაკი“
„კოტაიკი“ — „ავტომობილისტი“
„დინამო“ ბ. — „ლოკომოტივი“
„დინამო“ ს. — „ცილა“
„დინამო“ ზ. — „პროგრესი“
„მეტალურგი“ — „არაზი“
„ყარაბახი“ — „ხაზარი“
„არაბირი“ — „კოლხეთი“

VII ტური

20 მაისი, სამშაბათი

„ლოკომოტივი“ — „დილა“
„პროგრესი“ — „მეტალურგი“
„ავტომობილისტი“ — „შირაკი“
„ხაზარი“ — „არაბირი“
„ყარაბახი“ — „კოლხეთი“
„არაზი“ — „დინამო“ ბ.
„კოლხოზჩი“ — „დინამო“ ს.
„კოტაიკი“ — „დინამო“ ზ.

VIII ტური

26 მაისი, ორშაბათი

„არაბირი“ — „არაზი“
„კოტაიკი“ — „კოლხოზჩი“
„დინამო“ ს. — „დინამო“ ბ.
„დილა“ — „პროგრესი“
„ლოკომოტივი“ — „ხაზარი“
„ცილა“ — „მეტალურგი“
„შირაკი“ — „ყარაბახი“
„კოლხეთი“ — „ავტომობილისტი“

IX ტური

31 მაისი, შაბათი

„ხაზარი“ — „მეტალურგი“
„არაზი“ — „პროგრესი“
„ყარაბახი“ — „დილა“
„არაბირი“ — „ლოკომოტივი“
„კოლხოზჩი“ — „დინამო“ ზ.
„ავტომობილისტი“ — „დინამო“ ს.
„კოტაიკი“ — „დინამო“ ბ.
„შირაკი“ — „კოლხეთი“

X ტური

4 ივნისი, ოთხშაბათი

„ხაზარი“ — „პროგრესი“
„არაზი“ — „მეტალურგი“
„ყარაბახი“ — „ლოკომოტივი“
„არაბირი“ — „დილა“
„კოლხოზჩი“ — „დინამო“ ს.
„ავტომობილისტი“ — „დინამო“ ზ.
„კოტაიკი“ — „კოლხეთი“
„შირაკი“ — „დინამო“ ბ.

XI ტური

10 ივნისი, სამშაბათი

„დინამო“ ზ. — „შირაკი“
„დინამო“ ს. — „კოტაიკი“
„კოლხეთი“ — „ავტომობილისტი“
„დინამო“ ბ. — „კოლხოზჩი“
„ლოკომოტივი“ — „ხაზარი“
„დილა“ — „არაზი“
„პროგრესი“ — „ყარაბახი“
„მეტალურგი“ — „არაბირი“

XII ტური

14 ივნისი, შაბათი

„დინამო“ ზ. — „კოტაიკი“
„დინამო“ ს. — „შირაკი“
„კოლხეთი“ — „კოლხოზჩი“
„დინამო“ ბ. — „ავტომობილისტი“
„ლოკომოტივი“ — „არაზი“
„დილა“ — „ხაზარი“
„პროგრესი“ — „არაბირი“
„მეტალურგი“ — „ყარაბახი“

XIII ტური

20 ივნისი, პარასკევი

„კოლხოზჩი“ — „დილა“
„ავტომობილისტი“ — „პროგრესი“
„კოტაიკი“ — „მეტალურგი“
„შირაკი“ — „ლოკომოტივი“
„არაზი“ — „დინამო“ ს.
„ხაზარი“ — „დინამო“ ზ.
„ყარაბახი“ — „დინამო“ ბ.
„არაბირი“ — „კოლხეთი“

XIV ტური

24 ივნისი, სამშაბათი

„კოლხოზჩი“ — „პროგრესი“
„ავტომობილისტი“ — „ლოკომოტივი“
„კოტაიკი“ — „დილა“
„შირაკი“ — „მეტალურგი“
„არაზი“ — „დინამო“ ზ.
„ხაზარი“ — „კოლხეთი“
„ყარაბახი“ — „დინამო“ ბ.
„არაბირი“ — „დინამო“ ს.

XV ტური

1 ივლისი, სამშაბათი

„პროგრესი“ — „შირაკი“
„მეტალურგი“ — „კოლხოზჩი“
„ლოკომოტივი“ — „კოტაიკი“
„დილა“ — „ავტომობილისტი“
„კოლხეთი“ — „ხაზარი“
„დინამო“ ბ. — „არაზი“
„დინამო“ ს. — „ყარაბახი“
„დინამო“ ზ. — „არაბირი“

კვლავ ლიდერობენ

კივნიოი, 24 მარტი (დეპეშით, ჩვენი ს.ინფ. კორ.). „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში კიდევ 3 ტური (VIII, IX,X) გაიმართა.

VIII ტურში ქ. მელაშვილმა სძლია 6. ჩირეკინას (ლენინგრადი), მ. წერეთელმა — გ. გინკაძეს (ვლადივოსტოკი), ლ. სალუხმელიძემა — ა. სანაიას (ტრუსკინი), ნ. ფილიპამ — ს. მირიაშინაზეს (ვილნიუსი), ტ. ზატულოვსკაიამ — ნ. ორლოვას (ორენგი — მოსკოვი), ი. დვიდოვსკაიამ (ალმა-ათა) — ჯ. ნახატაკიანს (ტრუვანი). ორი პარტია გადაიდო.

IX ტურში მელაშვილმა დაამარცხა მირიაშინაზე, ფ. ბასანოვამ (ტაშკენტი) — სახაიანი, გინეკაძემ — ჩირეკინა. დაზავდნენ ფილიპა — ზატულოვსკაია და ორლოვა — ნახატაკიანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

X ტურში მხოლოდ 3 შეხვედრა დამთავრდა. ფილიპამ მოუგო ნახატკიანს, ი. ტურპანიძემ (მინსკი) — ჩირეკინას, ყაიმზე შეთანხმდნენ დვიდოვსკაია — სანაიანი. ხუთი პარტია გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ქ. მელაშვილი — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, მ. წერეთელი, ფ. ბასანოვა — 6,5-6,5 (1-1), ნ. ფილპა — 6, ტ. ზატულოვსკაია — 5,5 (2).

ე. მელიქსეთ-ბეგი,
საერთაშორისო არბიტრი.

ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედრია ავთანდილ მაჭავარიანს, არასოდეს დაავიწყდება მისი გულის სითბო. სულით ხორცამდე სიკეთისა და მეგობრული გრძნობის განსახიერებას ადამიანებისაგან დაფარული არაფერი ჰქონდა, რაც იყო ნაღდად ჩანდა და გაეგონრად, რა უხვად იყო დაჯილდოებული ადამიანური ღირსებებით. ხალხიც ამიტომ სცემდა პატივს. ყველას სიხარულს ჰგვრიდა და მასთან შეხვედრა. სიტყვამცრი კი უფრო იშვიათ იყო, რომ კარგად იცოდა სიტყვის ფასი. ერთი გამოკვეთილი ღირსება კი, რომელიც მის სახეთას აგრერიგად ალამაზებდა და გამოარჩევდა, შეუვალი პრინციპულობა იყო. ჩანაფიქრს ყოველმხრივ აწონდა და რასაც ხელს მოკიდებდა, უთუოდ მოლომდე მიიყვანდა. ამიტომ იყო, ბადალს ვერც სამხედრო საქმიანობაში და ერთიანად ეწამა უსოფლოდ. ის, რასაც გაეღებაც მან შეძლო ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობის 25 წლის მანძილზე, მისახსოვრად დარჩება ამ რაიონის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მეხსიერებაში.

ავთანდილ მაჭავარიანის ხსოვნა ძალ გამოადგება ყველას, ვისაც ეთანაგვარ სძნელებთან მიუხედავად, ხელის ქნევის საქმით დავკონკვინება სურს. ასე აიშენა ავთანდილმა ამ მთაგორიანი რაიონის სოფლებში სპორტული ბაზები, მოაწყო ხელოვნური საგზაობები ცურვის მასობრივად შესასწავლად, მისი დამსახურებაა, რაიონის ცენტრი შესანიშნავი კომპლექსური სპორტული დარბაზით რომ დამშენდა, რესპუბლიკურ და საკავშირო სპორტული სარბიელზე რაიონის სპორტსმენთა გამოჩენაც მის სახელთანაა დაკავშირებული. ეს ნამაგარით უფერო მეტად მომავალში უნდა ეხარა, მაგრამ ალარ დასცალდა. მხოლოდ იმას მოესწრო, ორჯონიკიძის რაიონი სპორტული ორტატობის დონის ზრდის მაჩვენებლებით ერთ-ერთ მოწინავედ რომ აღიარეს რესპუბლიკაში.

სხვისთვის მუდამ ზუგეშისმცემელმა და დამამშვიდებელმა, გულკეთილობითა არც სიცოცხლის მიწურულს დაიმჭნია. იმედთანად ისტუმრებდა მსაზეთებს. თუმცა ვინც მის სახეთას კარგად იცნობდა, იცოდა, რომ ავადმყოფს არ უნდოდა თავისი უბედურებით ტკივილი მიეყენებინა ადამიანებისთვის. 50 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან და არა მხოლოდ მოსაყრელად, თავისი ცხოვრების მაგალითად დაგვტოვა და ვალად დაგვადო, თუ როგორ უნდა იცხოვრო, ვიღრე ცოცხალი ხარ, რომ ქვეყანაც კაცური კაცის სახელი დატოვო.

ამხანაგების ჯგუფი.

სტარტი აიღეს

კვირას თბილისის ჭაობაკის სასახლეში სტარტი აიღო სპარ კაუშირის ბავშვთა საშაბარაო სკოლების გუნდურმა პირველობამ. ტურნირში 20 კოლექტივი მონაწილეობს, მათგან — სამი თბილისიდან: თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან ორი კოლექტივი (I დ. სახოკა, გ. ბაოთაშვილი, გ. მაღალაშვილი, ს. ჩიგოგიძე, ნანა მუსერიძე, II. 1968 წლის შემდეგ დაბადებული: ი. ანდღაძე, თ. ტაბატაძე, ქ. ჯაჭავაძე, ი. კაკაბაძე, ქ. ფოფავან მარდალიანიშვილი) და თბილისის გაზეთ „ლელოს" სპეციალიზებული საბადაო სკოლის ნაკრები (დ. ჯაჭავაძილი, ს. შაქარაშვილი, ი. წერეთელი, ზ. ბოფერაია, თამარ მახარაძე).

I ტურში სამივე ჩვენი გუნდი დამარცხდა: თბილისის I — სომხეთი 2:3, თბილისი II — რსფსრ (ვორონეჟი) 0,5:4,5, თბილისი III — მოსკოვა 0:5. თბილისის I გუნდიდან გაიმარჯვეს მაღალაშვილმა და მუსერიძემ. თბილისის II გუნდიდან ყაიმით დამთავრა პარტია თ. ტაბატაძემ.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ყაზახეთი — მოლდავეთი 1,5:3,5, ყირგიზეთი — ლიტვა 2,5:2,5, ზაურბაიჯანი — ლატვია 3,5:1,5, ბელორუსია — უზბეკეთი 3:2, რსფსრ (გორკი) — ტაჯიკეთი 5:0, ლენინგრადი — თურქმენეთი 4,5:0,5.

II ტურში თბილისის I გუნდმა სძლია ყაზახეთის კოლექტივს 3:2 (გამმარჯვებელ სასტვის, ბაღათუროვმა, მუსერიძემ), თბილისი II-მ — თურქმენეთის გუნდს 3:2 (მოიგეს ქაკაბაძემ, მაღალაშვილმა, ყაიმით დამთავრეს შეხვედრები ტაბატაძემ, ჯაჭავაძემ) და თბილისი III-მ დაამარცხა ტაჯიკეთის ნაკრები 5:0.

სხვა მატჩების შედეგები: რსფსრ (გორკი) — მოსკოვა 3:2, ლენინგრადი — რსფსრ (ვორონეჟი) 2,5:2,5, ესტონეთი — ბაქრბაიჯანი 3:2, სომხეთი — მოლდავეთი 4:1, ლატვია — ბელორუსია 0,5:4,5, უზბეკეთი — ყირგიზეთი 4:1, ლიტვა — უკრაინა 3,5:1,5.

დღეს III ტურის შეხვედრები გაიმართება.

თ. გოგორიშვილი.

* * *

სურათებზე: მიმდინარეობს ჩემპიონატი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ტყიბულის ვაჟთა ჩემპიონატში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა მაორჩეის ხარატაში ო. კობახიძემ — 11,5 ქულა. II ადგილი ხვდა ტყიბულის ტექმკრიცხვის ლაღიძეს, ზ. ღვალაძეს, გ. ჭოხონელიძეს — 7,5-7,5.

გამარჯვებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ ტყიბულის სპორტკომიტეტის სიგელებით.

მ. ბოჭორიშვილი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

ტყიბულის ჩემპიონატი

განყოფილების თანამშრომელს ი. დოლიძეს — 9, III-VI ადგილები გაიყვეს ვ. წიქვაძემ, ზ. ბეგაშვილმა, ი. ტურპანიძემ (მინსკი) — ჩირეკინას, ყაიმზე შეთანხმდნენ დვიდოვსკაია — სანაიანი. ხუთი პარტია გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ქ. მელაშვილი — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, მ. წერეთელი, ფ. ბასანოვა — 6,5-6,5 (1-1), ნ. ფილპა — 6, ტ. ზატულოვსკაია — 5,5 (2).

ე. მელიქსეთ-ბეგი,
საერთაშორისო არბიტრი.

ღირდა ასეთი ცხოვრება!

კიდევ ერთი გულქარქანი კაცი დავკარგეთ. გაზაფხულზე დავკარგეთ, სწორედ მაშინ, როცა ყველაფერი ჩქეფს და იღვიძებს. წვიდა ავთანდილ მაჭავარიანი და თითქოს გაფერმკრთალდა კლიორიტი ხარაგაულისა, რომელიც ასე უყვარდა და ამით მთელი საქართველოს სიყვარულს გამოხატავდა. საქმით ამტკიცებდა სამშობლოს სიყვარულს, ამას უნერგავდა ტალიკა ბიჭებს — ხარაგაულელ სპორტსმენებს. ეს სიყვარული დატოვა თავის ბიკვერს.

ჩვენი თანდელა! შენ არაფერი გიცვლებია ყალბად და მოჩვენებით, მეცხრე ცხრა აგიყვანდა ხოლმე არა მარტო ჩვენი სპორტის, არამედ საერთოდ რესპუბლიკის ყოველგვარი წარმატება და მიღწევა.

შენ რომ იცხოვრე, ღირდა ისეთი ცხოვრება!

ვილენ მარდალეიშვილი.

მეგობრის ხსოვნას

ძალ გამოადგება ყველას, ვისაც, ათასგვარ სძნელეთთა მიუხედავად, ხელის ქნევის საქმით დავკონკვინება სურს. ასე აიშენა ავთანდილმა ამ მთაგორიანი რაიონის სოფლებში სპორტული ბაზები, მოაწყო ხელოვნური საგზაობები ცურვის მასობრივად შესასწავლად, მისი დამსახურებაა, რაიონის ცენტრი შესანიშნავი კომპლექსური სპორტული დარბაზით რომ დამშენდა, რესპუბლიკურ და საკავშირო სპორტულ სარბიელზე რაიონის სპორტსმენთა გამოჩენაც მის სახელთანაა დაკავშირებული. ეს ნამაგარით უფერო მეტად მომავალში უნდა ეხარა, მაგრამ ალარ დასცალდა. მხოლოდ იმას მოესწრო, ორჯონიკიძის რაიონი სპორტული ორტატობის დონის ზრდის მაჩვენებლებით ერთ-ერთ მოწინავედ რომ აღიარეს რესპუბლიკაში.

სხვისთვის მუდამ ზუგეშისმცემელმა და დამამშვიდებელმა, გულკეთილობითა არც სიცოცხლის მიწურულს დაიმჭნია. იმედთანად ისტუმრებდა მსაზეთებს. თუმცა ვინც მის სახეთას კარგად იცნობდა, იცოდა, რომ ავადმყოფს არ უნდოდა თავისი უბედურებით ტკივილი მიეყენებინა ადამიანებისთვის. 50 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან და არა მხოლოდ მოსაყრელად, თავისი ცხოვრების მაგალითად დაგვტოვა და ვალად დაგვადო, თუ როგორ უნდა იცხოვრო, ვიღრე ცოცხალი ხარ, რომ ქვეყანაც კაცური კაცის სახელი დატოვო.

ამხანაგების ჯგუფი.





ინგლისი

მორიგ ტურში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია „ხოტენპემ ფორტსმა". მან „გაიმარჯვა „ტოტენჰემ ჰოტსპურთან" — 4:0.

სხვა მატჩებში: „ლივერპული" — „მანჩესტერ სიტი" 2:0, „კოვენტრი სიტი" — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" 0:2, „კრისტალ პალასი" — „ბოლტონ უონდერერსი" 3:1, „დერბი კაუნთი" — „სტოკ სიტი" 2:2, „ლიდს იუნაიტედი" — „საუთჰემპტონი" 2:0, ნორვიჩ სიტი" — „ბრაიტონ ალბიონი" 2:2, „არსენალი" — „ბრისტოლ სიტი" 0:0, „შეფილდსრი" — „იფსვიჩ თაუნი" 1:1.

ლიდერობას მტკიცედ ინარჩუნებს „ლივერპული" — 29 თამაშიდან 44 ქულა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" ამჟამინდე თამაშიდან 40 ქულა მოაგროვა, „ტოტენჰემ თოუმა" — 38 ქულა 31 მატჩიდან, „არსენალმა" — 36 ქულა 29 მატჩიდან.

გფრ

XXIV ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია „ჰამბურგერ შპორტფერაინისა" და „ინტრაქტის" (მაინის ფრანკფურტი) შეხვედრამ. ჰამბურგელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0.

წარმატებით თამამად მიუხედნა „ბაიერნმა", რომელმაც შინ ანგარიშით 3:1 მოუგო „დუსბურგს". „შალკე 04"-ის და „ვოლფის" მატჩი გელზენკირხენში დასრულდა ფრედ — 1:1.

დანარჩენ მატჩები: „ბაიერი" (ლევერკუზენი) — „ვერდერი" (ბრემენი) 4:0, „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) — „კაიზერსლაუტერნი" 0:3, „ფორტუნა" (დიუსელდორფი) — „ბორუსია" (დორტმუნდი) 2:1, „შტუტგარტი" — „მოენხენ 1860" 1:1, „ეინტრახტი" (ბრაუნშვაიგი) — „ბაიერი" (ფერდინგენი) 1:1, „ვერტა" (დას. ბერლინი) — „ნიურნბერგი" 1:0.

XXIV ტურის შემდეგ 33 ქულით ერთპიროვნული ლიდერია „ბაიერნი". იგი 2 ქულით უსწრებს „კიოლნს". 30 ქულა დ- 1 გამოტოვებული მატჩი აქვს „ჰამბურგერ შპორტფერაინს".

იტალია

მილანის „ინტერი" ჩემპიონატის დამთავრებამდე 7 ტურით ადრე მეორე ადგილზე მყოფ „რომას" უსწრებს 7 ქულით.

XXIII ტურში „ინტერმა" შინ ფრედ (1:1) თამაშობა „ტორინოსთან", „რომამ" ანგარიშით 1:0 მოუგო „ლაციოს" — „ბოლონიას" 1:0, „იუვენტუსი" (ტურინი) — „ლაციო" (რომი) 0:0, „ფიორენტინა" — „მილანი" 1:1, „ვენლინო" — „ნაპოლი" 2:3, „პეროჯა" — „პესკარა" 1:0, „ბარიოლი" — „ფეიენუორდ" 3:0.

ესპანეთი

ჩემპიონობისთვის მხოლოდ მაღრიდისა და სან-სებასტიანის „რეალი" იბრძვიან.

XXIV ტურში მაღრიდელებმა გამარჯვება მარსელონის „ესპანიოლთან" — 2:0. „რეალი" (სან-სებასტიანი) სარაგოსაში შეხვდა ამავე სახელწოდების გუნდს — 2:0.

უნგრეთი

XIX ტურში ლიდერი — „ჰონვედი" (ბუდაპეშტი) დღენი თამაშობდა „ჩაბა ეტოსთან". ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ჰონვედმა". „ვაშაშმა" (ბუდაპეშტი) საკუთარ მინდორზე ასუთივე ანგარიშით მოუგო დიოშდიერის ეტს-ს.

XIX ტურის შემდეგ „ჰონვედს" 27 ქულა აქვს, „ვაშაშსა" და „ფერენცვაროშს" — 25-25 ქულა.

ჩეხოსლოვაკია

XX ტურში მიმდინარეობდა ლიდერი — „ბოჰემიანსი", რომელიც ბრატისლავაში თამაშობდა „ინტერთან" — 0:1, „ბანიკა" (ოსტრავა) ფრედ (0:0) თამაშობდა ტრნავაში „სპარტაკთან".

ამრავად, ახლა „ბანიკა" და „ბოჰემიანსს" 28-28 ქულა აქვთ, 26 ქულა მოაგროვა „ზბროიოვკამ" (ბრნო).

პოლონეთი

XVI ტურში ცენტრალური შეხვედრა ბიტომში „შომბიერკისა" და კრაკოვის „ვისლას" შორის ფრედ (1:1) დამთავრდა, ვროცლავის „შლოისკი" ლოძში ანგარიშით 1:2 დამარცხდა ლუს-თან.

XVI ტურის შემდეგ „შომბიერკის" 22 ქულა აქვს, „შლონსკს" — 20.



გულგარეთი

XVII ტურში ცსკა-„სპარტაკიადის ზნამე" ანგარიშით 0:2 აგებდა პლოვდივში „ლოკომოტივთან", მაგრამ საბოლოოდ შეძლო მატჩის ფრედ დამთავრება (2:2). ახლა არჩიელები ლიდერობენ 27 ქულით. 3 ქულით ნაკლები აქვს სოფიის „სპარტაკს", 21 ქულა — სოფიის კიდევ ერთ გუნდს — „ლეგსკი-სპარტაკს".

რუმინეთი

XXII ტურის შემდეგ 29-29 ქულა აქვთ კრაიოვას „უნივერსიტატასა" და ბუქარესტის „დინამოს". 27 ქულა მოაგროვა ბუქარესტის „დინამომ", რომლის რიგებში კვლავ შედეგიანად თამაშობს კოსეგიანაც. 26-26 ქულა მოაგროვეს „ბიიამ" (მარე) და „არეჟმა" (პიტეშტი).

იუგოსლავია

XX ტურში ლიდერი — „სარაევო" შინ ფრეს (2:2) დასჯერდა „ჩერლიანთან". ამან საშუალება მისცა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" მოსტარში „ველეზთან" ანგარიშით 2:0 მოგების შემდეგ დასწეოდა „სარაევოს".

ახლა „ცრვენა ზვეზდასა" და „სარაევოს" 27-27 ქულა აქვთ. „ჰაიდუკმა" (სპლიტი) 25 ქულა მოაგროვა, ვრაგნიჩკიმ" (ნიში) — 24.

«სპორტლოტო»

მოსკოვში ვაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი XII ტირაჟები.

„სპორტლოტო 6-49-დან"

პირველი: 6, 12, 15, 23, 36, 43, შეღავათიანი ბერთოლა —16.

მეორე: 5, 6, 9, 24, 37, 41. შეღავათიანი ბერთოლა — 44.

„სპორტლოტო 5-36-დან"

პირველი: 2, 3, 5, 14, 23.

მეორე: 5, 9, 10, 17, 36.

რედაქტორი ა. გასილაია.

28 მარტს

თბილისში, „განთიადის" მძლეოსნობის სასახლეში გაიმართება „სპარტაკიას" რესპუბლიკური სახნის VI პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. „სპარტაკიას" ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ მარშინ ჩატარებული მუშაობის შედეგები და ნიშნები ამოცანები.

2. ქ. კადრების მომზადების, აღნრდისა და სწორად გამოყენების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილების შესასრულებლად ზანიადგომების ფიზკულტურული ორგანიზაციებში ამოცანები.

დასაწყისი 12 ს.

„სპარტაკიას" რესპუბლიკური საბჭო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ბიდრაკის — 93-97-26; საბადაო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომცემები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ინდექს 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 02110